

სააქციო საზოგადოება
„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

წესდება

თბილისი
2021 წელი

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1. სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში კომპანია) შეიქმნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სამართლებრივი ფორმის ცვლილების შედეგად და წარმოადგენს მის სამართალმემკვიდრეს (უფლებამონაცვლეს).
2. კომპანიის აქციათა 100% წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას.
3. კომპანია დაფუძნდა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2
სამართლებრივი ფორმა

1. კომპანიის სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზოგადოება, შემოკლებით - სს.
2. კომპანია წარმოადგენს იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, როგორც იურიდიული პირის უფლებამოსილების განხორციელება იწყება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან.
4. კომპანიის სრული სახელწოდებაა: სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.
5. კომპანიას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში ან ანგარიშები; მას შესაძლოა გააჩნდეს ბეჭედი, რეგისტრირებული ლოგოტიპი და სავაჭრო ნიშანი.
6. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ.2.
7. კომპანიის ოფიციალური ელ.ფოსტის მისამართია: info@gse.com.ge.

მუხლი 3
ძირითადი საქმიანობა

1. კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს:
 - ა) ქვეყნის მასშტაბით, კომპანიის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული ან/და მის მიერ ოპერირებული გადაცემის ქსელის მეშვეობით ელექტროენერჯის გადაცემა (ტრანსპორტირება, ტრანზიტი);
 - ბ) კომპანიის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული ან/და მის მიერ ოპერირებული გადამცემი ქსელის საიმედო მუშაობა, გენერაციის და განაწილების ლიცენზიატებისა და პირდაპირი მომხმარებლების მოთხოვნების გათვალისწინებით;
 - გ) კომპანიის ელექტროენერგეტიკული ქსელის ტექნიკური განახლება; ქსელის განვითარების შემდგომი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
 - დ) საპროექტო/ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შემუშავება ქვესადგურებისა და გადამცემი ხაზების რემონტების, აღდგენისა და ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობისთვის; ინვესტიციების ხელშეწყობა;
 - ე) ელექტროტექნიკური მოწყობილობების მშენებლობის, რემონტის, აღდგენის, რეკონსტრუქციისა და ოპერატიული მომსახურებისთვის საჭირო სამუშაოების შესრულება;

რძმ
რძმ
ილი
ოლავი

- ვ) ელექტროენერჯის გადაცემის მთლიანი ანგარიშგების ოპტიმიზაცია და მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- ზ) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილე გენერაციისა და განაწილების ლიცენზიატების ოპერატიული და ოპტიმალური დისპეტჩირება; ოპტიმალური რეჟიმებისა და ელექტროენერჯის ხარისხის სტანდარტების დაცვა; ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია;
- ი) ელექტროენერჯის სისტემის სტაბილურობისა და საიმედოობის გაუმჯობესების მიზნით, საკანონმდებლო აქტებით, ასევე შესაბამისი ლიცენზიებითა და შეთანხმებებით უზრუნველყოფილი საქმიანობის გავრცელების არეალში ელექტროტექნიკური მოწყობილობებისა და დანადგარების, შენობა-ნაგებობებისა და ტექნიკის გამართულად მუშაობის ზედამხედველობა; სასისტემო ავარიების მიზეზების მოკვლევის ჩატარება;
- კ) სარელეო დაცვის და სასისტემო ავტომატიკის ფუნქციონირების კონტროლი, ავარიების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ზომების გატარება;
- ლ) უფლებამოსილების ფარგლებში, ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიული მართვის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარება;
- მ) ჰიდროელექტროსადგურებზე, გადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებში დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების გრაფიკების შეთანხმება; მარეგულირებელი სადგურების წყალსაცავების შევსება-დამუშავების კონტროლი;
- ნ) კომპეტენციის ფარგლებში, ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადი ფუნქციონირებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის პროექტირება, დამონტაჟება და ექსპლუატაციაში გაშვება, კომპანიის დამტკიცებული ბიუჯეტის გათვალისწინებით;
- ო) კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა და კომპეტენციის ფარგლებში, ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების კონცეფციების, პროგრამებისა და ელექტროენერგეტიკული სექტორის შემუშავება; ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიული მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ელექტროტექნიკური მოწყობილობების მაკონტროლებელი და მზომი დანადგარების მონტაჟის, ექსპლუატაციისა და ფიზიკური მდგომარეობის ზედამხედველობა; ამგვარი დანადგარების ტესტირება;
- პ) ახალი ენერჯო ობიექტებისთვის ტექნიკური პირობების შემუშავება და შეთანხმება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ჰ) კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების საფასურთან დაკავშირებული სახელმწიფო მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ტ) კომპანიაში დასაქმებული პერსონალის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; მათი პროფესიული განვითარება და ცოდნის გაღრმავება.
2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის გარდა, კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კომპანიის ლიცენზიების პირობებს, კომპანიის და აქციონერების ინტერესებს.
 3. კომპანია საქმიანობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ლიცენზიებისა და ნებართვების საფუძველზე.
 4. კომპანიის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოება, მიიღოს მოგება არსებული წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული (კომერციული) საქმიანობიდან.

სსიპ
სსიპ
სსიპ
სსიპ

მუხლი 4
კომპანიის კაპიტალი

1. კომპანიის კაპიტალი მოიცავს მთელ მის ქონებას, სააქციო კაპიტალი კი შედგება აქციონერების მიერ განხორციელებული შენატანებისგან.
2. კომპანიის 100% აქციების მფლობელია სახელმწიფო.
3. აქციები შეიძლება გამოიცეს საერთო კრების გადაწყვეტილებით ნებადართული რაოდენობის ფარგლებში.
 - ა. ნებადართულია აქციების როგორც საჯარო ისე პირდაპირი (კერძო) განთავსების გზით.
 - ბ. პირდაპირი განთავსების შემთხვევაში, გასაცემი აქციების რაოდენობას, ფასს და პირობებს ადგენს საერთო კრება, ხოლო განთავსებას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო; საჯარო გამოცემა და განთავსება ხორციელდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
 - გ. აქციების გამოცემის, განთავსების პირობები, შეზღუდვები და პროცედურები შესაძლოა დამატებით განისაზღვროს საერთო კრების მიერ ან აქციონერთა შეთანხმებით.
4. კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში, რიგითი აქციონერების ქონებრივი წილის დაფარვა მოხდება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ. კომპანიაში ქონების წილი განისაზღვრება ხმების რაოდენობის პროპორციულად, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი აქციონერთა შეთანხმებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან საერთო კრების მიერ. აქციონერთა შეთანხმებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით, დამატებით შეიძლება განისაზღვროს ქონების წილის გადახდის პირობები, შეზღუდვები და პროცედურები.
5. საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები კომპანიის სააქციო კაპიტალის გაზრდის ან შემცირების შესახებ, გამოსცეს ახალი აქციები და შესაბამისად, გააუქმოს არსებული.
6. კომპანიას შეუძლია საკუთარი აქციების გამოსყიდვა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ოდენობით. საკუთარი აქციების გამოსყიდვის პირობები, შეზღუდვები და პროცედურები დამატებით განისაზღვრება საერთო კრების გადაწყვეტილებით.
7. ახალი აქციების გაცემა შესაძლებელია სარეზერვო ფონდის ხარჯზე.
8. დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვის მიზნით, კომპანიამ შეიძლება აიღოს სპეციალური დანიშნულების სესხები, მოიზიდოს თავისუფალი სახსრები იურიდიული და კერძო პირებისგან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. აქციონერს უფლება აქვს კომპანიის კაპიტალიდან (სააქციო კაპიტალიდან) უკან გაიტანოს შენატანი, რომელიც მის მიერ იქნა შეტანილი. შენატანის უკან გატანა ხორციელდება იმავე პროცედურით, რომელიც ამ შენატანის განხორციელებისას იქნა გამოყენებული.
10. კომპანიის სააქციო კაპიტალი შეიძლება შეიცვალოს აქციონერების გადაწყვეტილებისამებრ.
11. სააქციო კაპიტალში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილება არ საჭიროებს სავალდებულო რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში.
12. სააქციო კაპიტალში არაფულადი სახსრების ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ექსპერტი (აუდიტორი).
13. კომპანიის კაპიტალი დაყოფილია 645670671 ჩვეულებრივ აქციად თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) ლარი. კაპიტალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია წესდების დამტკიცების თარიღისთვის არსებული მდგომარეობით და მისი შემდგომი ცვლილება/რეგისტრაცია განხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით აქციონერთა ამონაწერის განახლების გზით.

საქმის
წილი
7

მუხლი 5
აქციონერის უფლება-მოვალეობები

1. კომპანიის ერთადერთ აქციონერს წარმოადგენს სახელმწიფო.
2. აქციონერს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს (წარმომადგენლებს) უფლება აქვს:
 - ა. მოითხოვოს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მოითხოვოს და გაეცნოს დოკუმენტებს დამოუკიდებლად ან დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით; ასევე გადაიღოს დოკუმენტების ასლები. კომპანიისგან მოითხოვოს ინფორმაცია, მის მიერ დადგენილი წესების დაცვით;
 - ბ. მონაწილეობა მიიღოს კომპანიის მოგების ან სხვა ქონების განაწილებაში (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) მის მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის შესაბამისად;
 - გ. მოითხოვოს კომპანიის ეკონომიკური აქტივობის ან წლიური ბალანსის შემოწმება, თუ თვლის რომ ადგილი აქვს დარღვევებს;
 - დ. უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში, წინამდებარე წესდების შესაბამისად;
 - ე. განკარგოს საკუთარი აქციები კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - ვ. კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღოს ქონების ის წილი ან მისი ღირებულება, რომელიც დარჩება კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ, მისი წილის პროპორციულად და ამ წესდების, მე-4 მუხლით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;
 - ზ. მოითხოვოს კომპანიის სახელით დადებული ხელშეკრულებების ასლები ან/და ინფორმაცია მომავალში გასაფორმებელი გარიგებების შესახებ;
 - თ. მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება, კომპანიის წესდების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით;
 - ი. განახორციელოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.
3. აქციონერი ვალდებულია:
 - ა. უზრუნველყოს შესაბამისი შენატანის შეტანა კომპანიის სააქციო კაპიტალში აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად. შენატანის შეტანის პირობები, შეზღუდვები და პროცედურები განისაზღვრება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;
 - ბ. დაიცვას აღნიშნული წესდებით განსაზღვრული პირობები.
4. კომპანიის აქციონერი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს აქციონერთა საერთო კრების მეშვეობით.

მუხლი 6
კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოები

1. კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:
 - ა. აქციონერთა საერთო კრება;
 - ბ. სამეთვალყურეო საბჭო;
 - გ. გენერალური დირექტორი.

მუხლი 7
საერთო კრება

1. კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება.
2. საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე.
3. მორიგი საერთო კრება ტარდება ყოველწლიურად, ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ფინანსური წლის დასასრულიდან ექვსი თვის ვადაში. მორიგი საერთო კრების მოწვევა ხდება კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. საერთო კრებაზე განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები.
4. რიგგარეშე საერთო კრება ტარდება სამეთვალყურეო საბჭოს ან სულ მცირე 5% (ხუთი) აქციების მფლობელი აქციონერის ან აქციონერების ჯგუფის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
5. საერთო კრება იმართება კომპანიის იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.
6. საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურა განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესდებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
7. აქციონერებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებაზე მათი სათანადო უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი მინდობილობა თან ერთვის საერთო კრების ოქმს.
8. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ საერთო კრებაზე წარმოდგენილია კომპანიის აქციების 75% მფლობელი აქციონერები (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ი)(ქვეორუმ);
9. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე აქციონერთა ხმათა უბრალო უმრავლესობით (50%-ს პლიუს ერთი ხმა);
10. საერთო კრების მოწვევა არ არის სავალდებულო თუ 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში, სხვა აქციონერებს შეტყობინების სახით ეგზავნებათ მიღებული გადაწყვეტილება. თუ წინამდებარე პუნქტში დასახელებული აქციების რაოდენობას ფლობს ერთზე მეტი აქციონერი, საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა;
11. საერთო კრების ოქმის ნოტარიულად დამოწმება ხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
12. საერთო კრება უფლებამოსილია:
 - ა. შეიტანოს ცვლილებები კომპანიის წესდებაში, ასევე კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემებში;
 - ბ. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (თუ კაპიტალის გაზრდა ხდება ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით), ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - გ. მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების შესახებ;
 - დ. მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის ან მისი გაუქმების შესახებ;
 - ე. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;
 - ვ. განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების მოცულობა;

- ზ. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის ასევე სხვა კომპანიაში წილების/აქციების შექმნის შესახებ;
- თ. მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღების თაობაზე, ამ პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით.
- ი. აირჩიოს და გაათავისუფლოს გარე აუდიტორი.
13. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:
- ა. ვალდებულებების უზრუნველყოფა (მათ შორის უფლებრივი დატვირთვა), რომლებიც არ მიეკუთვნება კომპანიის მთავარ (სალიცენზიო) საქმიანობას ან/და რომელთა ღირებულება აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 50%-ს;
 - ბ. ინვესტიციების განხორციელება, რომლის ღირებულება ცალკე ან მთლიანად აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 50%-ს;
 - დ. კომპანიის საკუთრებაში არსებული და კომპანიის სპეციფიკური საქმიანობისთვის საჭირო ობიექტების (სალიცენზიო საქმიანობისთვის გათვალისწინებული საშუალებები ან/და სალიცენზიო საქმიანობისთვის აუცილებელი სპეციფიკური ობიექტები) გასხვისება (გაყიდვა, იჯარა, უზუფრუქტი ან სხვა პირზე გადაცემა სხვაგვარად, კანონმდებლობის თანახმად) ან/და ჩამოწერა; ასევე არასპეციფიკური ობიექტების გასხვისება (გაყიდვა, იჯარა, უზუფრუქტი ან სხვა პირზე გადაცემა სხვაგვარად, კანონმდებლობის თანახმად) ან/და მათი ჩამოწერა, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანობაში აღემატება 1 000 000 ლარს (ერთი მილიონი).
 - ე. ახალი საწარმოს დაფუძნება/ლიკვიდაცია და ახალი ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
 - ვ. ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
 - ზ. წმინდა მოგების განკარგვა;
 - თ. წლიური ფინანსური შედეგების განხილვა და დამტკიცება;
 - ი. კომპანიის კაპიტალის (სააქციო კაპიტალის) ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ახალი/დამატებითი შენატანებით და პირიქით კაპიტალიდან შენატანების ამოღების გზით;
 - კ. პროკურის გაცემა და გაუქმება;
 - ლ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა.
14. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხები წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, აქციათა 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის მიერ საერთო კრების უფლებამოსილების სფეროს განკუთვნილი საკითხების შესახებ მიღებული წერილობითი გადაწყვეტილება საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება საერთო კრების გადაწყვეტილებად.
15. თუ აქციების პაკეტს ფლობს ერთი აქციონერი, ასეთი აქციონერის წერილობით გადაწყვეტილება კომპანიის საერთო კრების გადაწყვეტილების ტოლფასია. წინამდებარე წესდებაში აქციონერთა საერთო კრება ნიშნავს აქციონერს, ხოლო აქციონერთა საერთო კრების ოქმები გულისხმობს აქციონერის გადაწყვეტილებას.

საქმის
არქივი
N
საქმის
არქივი
N

მუხლი 8
სამეთვალყურეო საბჭო

1. სამეთვალყურეო საბჭო ზედამხედველობას უწევს კომპანიის მართვას. მისი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდების შესაბამისად.
2. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 9 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევს საერთო კრება, 3 (სამი) წლის ვადით. თუ წევრის უფლებამოსილების ვადა იწურება მორიგი საერთო კრების ჩატარებამდე, ამგვარი წევრის უფლებამოსილება გაგრძელდება მორიგი საერთო კრების მიერ ახალი წევრის არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ წევრს უფლება აქვს დატოვოს თანამდებობა ან/და საერთო კრების გადაწყვეტილებით განთავისუფლებულ იქნას ვადაზე ადრე, ნებისმიერ დროს.
3. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა წესდებით გათვალისწინებულ მინიმუმზე ნაკლებია, დანარჩენი წევრი ან წევრები იწვევენ საერთო კრებას წევრის არჩევის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა წევრებს არ სურთ მონაწილეობის მიღება, ორი წევრი უფლებამოსილია მოიწვიოს საერთო კრება საბჭოს წევრების არჩევის მიზნით.
4. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს.
5. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და განსაზღვრავს მათ დღის წესრიგს.
6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს ადგენს მდივანი.
7. ამ წესდების შესაბამისად არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოს მდივანს საბჭოს მიერ დადგენილი პირობებით შეიძლება დაენიშნოს ასისტენტი ან მდივნის მოადგილე. ასისტენტის ან მდივნის მოადგილის ფუნქციებისა და ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო.
8. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ოთხჯერ. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით.
9. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა.
10. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე, ხოლო მიმდინარე საზედამხედველო საქმიანობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შექმნილი კომიტეტების მეშვეობით.
11. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
12. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების დელეგირება დაუშვებელია.
13. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოფიციალური მოწვევა აუცილებელი არ არის, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები წერილობით, ერთხმად თანხმდებიან საკითხზე; წერილობითი და სათანადოდ შესრულებული თანხმობა განიხილება, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება და დადგენილება.
14. სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს ხუთი კომიტეტი, რომლებიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან:
 - ა. აუდიტის კომიტეტი;
 - ბ. მმართველობისა და დანიშვნების კომიტეტი;

- გ. ინვესტიციების კომიტეტი;
- დ. რისკების მართვის კომიტეტი;
- ე. ანაზღაურების კომიტეტი.

14. თითოეულ კომიტეტს აქვს დებულება, რომელიც განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობის ფარგლებს და ძირითად სამუშაო პროცედურებს.
16. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ასევე ერთადერთი აქციონერის შემთხვევაში მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უნაზღაურდება მისი ფუნქციების შესრულებისას გაწეული დასაბუთებული ხარჯები: მოგზაურობა, სასტუმრო და სხვა სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება დადგენილი წესებისა, პროცედურებისა და ზღვრების შესაბამისად.
17. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს საერთო კრების გადაწყვეტილებებს. მათ შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება საერთო კრების გადაწყვეტილებებს. კომპანიის გენერალური დირექტორი თავისი საქმიანობისას ვალდებულია ხელმძღვანელობდეს მოქმედი კანონმდებლობით, ასევე საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებით (მათი იერარქიის გათვალისწინებით).

მუხლი 9 სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები

1. სამეთვალყურეო საბჭო:
 - ა. სტრატეგიისა და მენეჯმენტის ფარგლებში
 - 1.1. ახორციელებს კომპანიის გენერალური დირექტორის ზედამხედველობას;
 - 1.2. ამტკიცებს კომპანიის გრძელვადიან მიზნებს და კომერციულ და საინვესტიციო სტრატეგიას;
 - 1.3. ამტკიცებს საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების წლიურ ბიუჯეტს და მასში შეტანილ ცვლილებებს;
 - 1.4. უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობაზე დაკვირვებას, მათ შორის ზედამხედველობს კომპანიის საქმიანობის:
 - ა. კომპეტენტურ და გონივრულ მართვას;
 - ბ. ეფექტიან დაგეგმვას;
 - გ. შიდა კონტროლის ადეკვატურ სისტემას;
 - დ. სათანადო აღრიცხვასა და შესაბამისი ჩანაწერების არსებობას;
 - ე. ნორმატიულ აქტებთან და რეგულაციებთან შესაბამისობას.
 - 1.5. აფასებს განხორციელებულ საქმიანობებს კომპანიის სტრატეგიასთან, მიზნებთან, ბიზნეს გეგმებთან და ბიუჯეტთან მიმართებაში და უზრუნველყოფს ყველა მაკორექტირებელი ქმედების გატარებას.
 - ბ. სტრუქტურისა და კაპიტალის კუთხით
 - 1.6. განიხილავს კომპანიის სტრუქტურას, შინაგანაწესს, საქმის წარმოების პროცედურებს, საშტატო ნუსხას და კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო სხვა დოკუმენტებს;
 - 1.7. ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს გენერალურ დირექტორს, დებს და წყვეტს მასთან ხელშეკრულებას და საერთო კრებასთან შეთანხმებით წყვეტს მისი შრომის ანაზღაურების საკითხს; გენერალური დირექტორის დანიშვნა და მისი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში

გენერალური დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

- 1.8. შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს, ეკონომიკური აქტივობის და წმინდა მოგების წლიური და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშს, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას;
- 1.9. საერთო კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენამდე წინასწარ განიხილავს კომპანიის ბალანსში და საბუღალტრო ანგარიშებში ასახულ წლიურ შედეგებს;
- 1.10. წინასწარ განიხილავს კომპანიის წლიურ ანგარიშს, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კომპანიის აქტივების და მასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესახებ კონკრეტული წლის ჭრილში.
- 1.11. განიხილავს გარიგებებს, რომელთა ღირებულება, ცალკე ან მთლიანობაში აღემატება 1 000 000 ლარს (ერთი მილიონი), მაგრამ არაუმეტეს კომპანიის აქტივების ღირებულების 50%-ისა;
- 1.12. განიხილავს კომპანიის მიერ ვალდებულებათა აღებას ან გაცემას, რომელიც არ უკავშირდება კომპანიის მთავარ (სალიცენზიო) საქმიანობას, თუ ღირებულება აღემატება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს, მაგრამ არაუმეტეს კომპანიის აქტივების ღირებულების 50%-ისა;

გ. ფინანსური ანგარიშგების და კონტროლის მექანიზმების კუთხით

- 1.13. განიხილავს და ამტკიცებს კომპანიის წლიურ ბიუჯეტს მის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და წლის განმავლობაში დაგეგმილი შემოსავლებისა და აქტივობების გათვალისწინებით;
- 1.14. საჭიროების შემთხვევაში, ამტკიცებს შუალედურ ანგარიშგებას, მენეჯმენტის შუალედურ ანგარიშგებას და შუალედურ ან საბოლოო შედეგებთან დაკავშირებულ ნებისმიერ წინასწარ განაცხადს;
- 1.15. წინასწარ განიხილავს წლიურ ანგარიშებს და ფინანსურ აღრიცხვას, აგრეთვე კორპორაციული მართვის და ანაზღაურების ანგარიშებს;
- 1.16. განიხილავს და ამტკიცებს კომპანიის შიდა პოლიტიკის დოკუმენტებს.
- 1.17. შეიმუშავებს კომპანიის განვითარების ბიზნეს გეგმას და ეკონომიკური პოლიტიკის ზოგად პრინციპებს;
- 1.18. განიხილავს დივიდენდების პოლიტიკას ან რეკომენდაციებს;

დ. შიდა კონტროლის მექანიზმების და კომუნიკაციის კუთხით

- 1.19. უზრუნველყოფს შიდა კონტროლის მექანიზმებისა და რისკების მართვის გამართული სისტემის მუშაობას და ამ მიზნით:
 - ა. უზღუდამოსილია მოითხოვის შესაბამის ანგარიშები და განახორციელოს ზედამხედველობა კომპანიის რისკების მართვისა და კონტროლის პროცესების ეფექტურობაზე, სტრატეგიული მიზნების მხარდასაჭერად;
 - ბ. ახორციელებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცესების წლიურ შეფასებას;
- 1.20. წინასწარ განიხილავს შიდა კონტროლის მექანიზმების და კომუნიკაციის კუთხით საერთო კრებისთვის წარსადგენი დოკუმენტებს, ანგარიშებს, საკითხებსა და პროექტებს. ამზადებს საკუთარ რეკომენდაცია/მოსაზრებებს და ერთობლივად წარუდგენს საერთო კრებას განსახილველად.
- 1.21. ამტკიცებს ყველა პროსპექტს და განთავსების დეტალების ნუსხას ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად;

გ. შიდა
კონტროლი
1.19-1.21

ე. უფლებამოსილების დელეგირების კუთხით

- 1.22. წერილობითი ფორმით, ანაწილებს პასუხისმგებლობებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მდივანსა და წევრებს შორის;
- 1.23. ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების დებულებებს;
- 1.24. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებისგან იღებს ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ;

ვ. კორპორაციული მართვის კუთხით

- 1.25. ახორციელებს საკუთარი საქმიანობის, კომიტეტებისა და ცალკეული წევრების საქმიანობის ოფიციალურ და სრულყოფილ, ყოველწლიურ ანალიზს;
- 1.26. განიხილავს კომპანიის კორპორაციული მართვის მექანიზმებს;
- 1.27. ეცნობა კომპანიის აქციონერების მოსაზრებებს კომპანიის კორპორაციული მართვის შესახებ;
- 1.28. წინასწარ განიხილავს საბჭოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს, შესაბამისი კანონმდებლობისა და სხვა რეგულაციების დაცვით და აღნიშნული განხილვის საფუძველზე წარუდგენს საკუთარ მოსაზრებას/რეკომენდაციას კომპანიის საერთო კრებას.

ზ. სხვა საკითხების ნაწილში

- 1.29. ითანხმებს ისეთი დავების წარმოების საკითხებს, რომელთა ღირებულება აღემატება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს;
- 1.30. განიხილავს კომპანიის მმართველობითი ორგანოების მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხებს;
- 1.31. განიხილავს კანონმდებლობითა და აღნიშნული წესდებით გათვალისწინებულ სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შემავალ ყველა სხვა საკითხს;
- 1.32. წინასწარ განიხილოს რეორგანიზაციისა და სხვა კომპანიაში წილების/აქციების შექმნის წინადადება, საერთო კრებისთვის საკითხის წარსადგენად.
- 1.33. წინასწარ, საერთო კრებაზე წარდგენამდე განიხილავს შემდეგ საკითხებს:
 - ა. ვალდებულებების უზრუნველყოფის შესახებ (მათ შორის უფლებრივი დატვირთვა), რომლებიც არ მიეკუთვნება კომპანიის მთავარ (სალიცენზიო) საქმიანობას ან/და რომელთა ღირებულება აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 50%-ს;
 - ბ. ინვესტიციების განხორციელების შესახებ, რომლის ღირებულება ცალკე ან მთლიანად აღემატება კომპანიის აქტივების ღირებულების 50%-ს;
2. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას ხელს აწერენ დამსწრე წევრები.

მუხლი 10

გენერალური დირექტორი

1. გენერალური დირექტორი წარმოადგენს კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. კომპანიის გენერალური დირექტორი მართავს კომპანიის მიმდინარე, ყოველდღიურ ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ეკონომიკურ და კომერციულ საქმიანობას. გენერალური დირექტორი მოქმედებს და იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესდებით, საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

2. გენერალურ დირექტორთან იქმნება დირექტორთა საბჭო, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს დებულების შესაბამისად. დირექტორთა საბჭო და დირექტორები ანგარიშვალდებული არიან გენერალური დირექტორის წინაშე.
3. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით გენერალური დირექტორი ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორთა საბჭოს წევრებს (დირექტორებს). დირექტორებთან შრომითი ხელშეკრულებები ფორმდება/წყდება გენერალური დირექტორის მიერ. დირექტორთა საბჭოს წევრთა რაოდენობას და მათ სამუშაო პირობებს განსაზღვრავს გენერალური დირექტორი.
4. კომპანიის დირექტორთა საბჭოს დებულებას ამტკიცებს გენერალური დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით. გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს კომპანიის ყოველდღიურ, მიმდინარე სამეურნეო საქმიანობას რა მიზნითაც:

- ა) ამტკიცებს კომპანიის სტრუქტურას, შინაგანაწესს, საქმისწარმოების წესს, საშტატო განრიგს, სტრუქტურული ერთეულის დებულებებს და კომპანიის საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ორგანიზაციულ დოკუმენტებს ამ წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
- ბ) გამოსცემს ბრძანებებს, განკარგულებებსა, მითითებებს და სხვა მმართველობით დოკუმენტებს;
- გ) ადგენს დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლებს;
- დ) იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვნისა და წახალისების შესახებ;
- ე) იხილავს კომპანიის სატარიფო განაცხადს ელექტროენერგეტიკის დარგის შესაბამისი ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის (მომსახურების) ტარიფებიც განსაზღვრის თაობაზე;
- ვ) მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
- ზ) კომპანიის გამართული ფუნქციონირების მიზნით ახორციელებს სხვა აუცილებელ უფლებამოსილებებს.

სს
სს
№ 76
მხარე

მუხლი 11
ჩანაწერები

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან მდივანს, ან საბჭოს მიერ ამ მიზნისთვის დანიშნულ სხვა უფლებამოსილ პირს შეუძლია დაადასტუროს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ავთენტურობა.
2. სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების/ოქმების აკინძვას, შენახვას და დაარქივებას.

მუხლი 12
წლიური შედეგები

1. ფინანსური წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში, გენერალური დირექტორი ადგენს კომპანიის ბალანსს და ბიზნეს-დასკვნას და ამზადებს შეთავაზებას მოგების განაწილების შესახებ.
2. ანგარიში წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს და საერთო კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად;

3. თუ კომპანიამ დაიქირავა გარე აუდიტორი, აუდიტის დასკვნა უნდა დაერთოს წლიურ ანგარიშს.
4. წმინდა მოგების გამოყენება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 13
აღრიცხვა და ანგარიშგება

1. კომპანია ახორციელებს ფინანსურ და სტატისტიკურ აღრიცხვას შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით;
2. წესდების მე-7 მუხლის მე-12 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო კრება ყოველწლიურად უზრუნველყოფს გარე აუდიტორის არჩევას და გათავისუფლებას. კომპანიის საანგარიშო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14
რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. კომპანიამ შეიძლება შეწყვიტოს არსებობა ორი გზით:
 - ა. რეორგანიზაციით (შერწყმა, შეერთება, გაყოფა);
 - ბ. ლიკვიდაციით.
2. კომპანიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურებით და წესით.

მუხლი 15
დასკვნითი დებულებები

1. წესდების რომელიმე დებულების (მუხლი) ბათილად ცნობა არ იწვევს წესდების გაუქმებას.
2. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წერილობით, საერთო კრების მიერ.
3. წესდების ყველა ცვლილება და დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.
4. კომპანიის წესდება ინახება კომპანიაში.
5. კომპანიის აქციონერებს შორის, წესდებასთან დაკავშირებით წარმომოხილი ნებისმიერი დავა 201 წ. წყდება საქართველოს ზოგადი იურისდიქციის სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. წესდება შედგენილია 5 ეგზემპლარად, ყველა მათგანს ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს.

5 მისტრი
პაპინტო
201 წ.

წესდებაზე ხელს აწერს აქციათა 100% მფლობელი აქციონერის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება:

ა. ყაბ

ოხნე ყახაძე
აქციონერის წარმომადგენელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
შტაბში №767
თარიღი 13 მაისი 2015 წ.
გამოცემის ადგილი 13 სალომეა

